საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №30-ში მდებარე საცხოვრებელისახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2014 წლის 22 აგვისტო

მოქ. ნარგიზი ტიზლარიშვილთან (P/N: 45001000340) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №30-ში მდებარე (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882013158697 – 11/04/2013. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.01.019.010, მომზადების თარიღი 17/04/2013) საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, გადაგეგმარებასთან დაკავშირებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით. შენობა მდებარეობს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, რომელიც სამშენებლო ნორმებისა და წესების – "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ის სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას. დაპროექტების ნორმების – "სამშენებლო კლიმატოლოგია"-ს მიხედვით ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონისთვის საანგარიშო პარამეტრებად დადგენილია შემდეგი ნორმატიული მნიშვნელობანი: თოვლის საფარის წონა 0,50 კპა (50 კგძ/კვ.მ); ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობად კი მიღებულია 0,60 კპა (60 კგძ/კვ.მ) 15 წელიწადში ერთხელ.

შესწავლილი შენობა აგებულია XX-საუკუნის პირველ ნახევარში. შენობა ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე, რომლის ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მცირეგაბარიტიანი, მთლიანტანიანი ბეტონის საკედლე ბლოკების წყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, სისქით 200 მმ. საძირკველი სავარაუდოდ ლენტური ტიპისაა და შესრულებული უნდა იყოს ყორებეტონის წყობით. სახურავი ორქანობიანია, მოთუთიებული თუნუქის ბურულითა და ხის მზიდი ნივნივებით.

ჩვენს მიერ შენობის კონსტრუქციული ელემენტების შესწავლის დროს მიმდინარეობდა დემონტაჟის სამუშაოები, რამაც საშუალება მოგვცა დეტალურად დაგვეთვალიერებინა თითეული კონსტრუქციული ელემენტი. შენობის ვიზუალური შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ მის ხილულ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე რაიმე სახის მნიშვნელოვანი

დაზიანებები არ შეინიშნება. შენობას კარგად აქვს გადატანილი როგორც 2002 წლის 25 აპრილის საკმაოდ ძლიერი, ასევე შემდეგ წლებში მომხდარი მიწისძვრების ზემოქმედების შედეგები.

მოქალაქე ნარგიზი ტიზლარიშვილს დაგეგმილი აქვს სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება არსებული შენობის მოცულობით-გეგმარებით გადაწყვეტაში ცვლილების შეტანით, საზოგადოებრივ-მრავალფუნქციური დარბაზის მოსაწყობად. გარდა გეგმარებაში გათვალისწინებული ცვლილებებისა მთლიანად იცვლება სახურავიც. შენობის მარჯვენა გრძივი კედელი მდებარეობს სამეზობლო (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.16.01.019.025) მიჯნაზე, რომელიც დაშორებულია სამეზობლო საზღვარს ანტისეისმური ნაკერით, მაგრამ თვით კედელი ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების – "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09)-ის ზოგიერთ მოთხოვნებს:

– "გაძლიერების გარეშე აგურის (იგივე ეხება ბლოკის წყობასაც – იხ. პნ 01.01-09 მუხლი 15 §3 გვ.27) წყობის შემთხვევაში (I-ტიპის შენობებში) სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან არ უნდა იყოს 10-ზე მეტი, დაარმატურებით გაძლიერებულ შენობებში აღნიშნული სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 12-ს, ხოლო კომპლექსური კონსტრუქციებით გაძლიერებულ შენობებში 15-ს" (პნ 01.01-09 მუხლი15 §10). აქედან გამომდინარე კედლები უნდა გაძლიერდეს კომპლექსური კონსტრუქციებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ლითონის მილკვადრატების ჩანართები.

– "განივ კედლებსა ან მათ შემცვლელ რკინაბეტონის ჩარჩოებს შორის მანძილი დგინდება ანგარიშით და არ უნდა აღემატებოდეს მე-9 ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს". ცხრილის №2 პუნქტის თანახმად 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონაში მანძილი განივ კედლებსა ან მათ შემცვლელ ჩარჩოებს შორის დასაშვებია იყოს 12,0 მ. რეკონსტრუქციის შემდეგ დაგეგმილია კედელში ჩანართებად გამოყენებულ ლითონის მილკვადრატებზე მოეწყოს ოვალური ფორმის შემკრავი კოჭები. ახლადშექმნილ 5,90 მ-იანი მალის ლითონის ჩარჩოებს შორის ბიჯი 4,0 მ-ია, რაც სრულიად საკმარისია კედლის სიხისტის შესაქმნელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტს მიაჩნია, რომ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის საფუძველზე ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ შესაძლებელი იქნება შენობის უსაფრთხო ექსპლოატაცია. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს

უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის დადგენილების- "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შ.პ.ს. "ედრი+"-ის დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე